

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

დადგენილება №19

2017 წლის 13 ნოემბერი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კინოცენტრ „ქართული ფილმი – აფხაზეთის“, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აფხაზეთის მოზარდ-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აფხაზეთის საგამომცემლო ცენტრის რეორგანიზაციისა და მათ ბაზაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ შექმნის შესახებ

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-6 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად:

1. რეორგანიზებულ იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კინოცენტრი „ქართული ფილმი – აფხაზეთი“, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აფხაზეთის მოზარდ-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აფხაზეთის საგამომცემლო ცენტრი და მათ ბაზაზე შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი „აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“ (შემდგომში – ცენტრი);

2. ცენტრი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კინოცენტრი „ქართული ფილმი – აფხაზეთის“, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აფხაზეთის მოზარდ-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აფხაზეთის საგამომცემლო ცენტრის უფლებამონაცვლე.

3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ (დ. ჯაიანი) უზრუნველყოს:

ა) ცენტრის სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;

ბ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის ცენტრის დებულების პროექტის დასამტკიცებლად წარმოდგენა 2017 წლის 22 დეკემბრამდე;

გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კინოცენტრი „ქართული ფილმი – აფხაზეთის“, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აფხაზეთის მოზარდ-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აფხაზეთის საგამომცემლო ცენტრის რეორგანიზაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (მ. ფარფალია) უზრუნველყოს ცენტრისათვის საჭირო ქონების გადაცემასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

5. ამ დადგენილების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (მ. ფარფალია) უზრუნველყოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტში შესაბამისი ღონისძიებების ასახვა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №22 - ვებგვერდი, 22.12.2017 წ.

მუხლი 2

ცენტრის დებულების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კინოცენტრ „ქართული ფილმი – აფხაზეთის“ შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 11 მაისის №20 დადგენილება;

ბ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აფხაზეთის მოზარდ-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის შექმნის შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 18 მაისის №16 დადგენილება;

გ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აფხაზეთის მოზარდ-ახალგაზრდობის შემოქმედებითი



ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2012 წლის 12 ნოემბრის №304/მ ბრძანება;

დ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აფხაზეთის საგამომცემლო ცენტრის“ შექმნის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 11 მარტის №18 დადგენილება;

ე) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აფხაზეთის საგამომცემლო ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 2 აპრილის №26 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილების შესრულებაზე კონტროლი უზრუნველყოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატმა (ო. გარმელია).

მუხლი 4

ა) ეს დადგენილება, გარდა ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე;

ბ) დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ძალაში შესვლის დღიდან.

აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი

ვახტანგ ყოლბაია

